პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე




# ტარტაროზი

№ 35 | კვირა, 7 თებერვალი, 1926 წელი. | № 35

ტარტაროზი. წიგნის პალატა

„ინგლისისა და საფრანგეთის ჯარებმა დასცალეს დაკავებული ადგილები, რასაც სთვლიან ლოკარნოს კეთილი გავლენით".




დიდხანს იყო აქ ეს ჯორი, მაგრამ მაინც ვერ გასუქდა, — თუმცა მისთვის აქ საჭმელი ყველაფერი იყო მუქთათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გზაც იქით ჰქონიათ

„ზევრს მოსტეხა კისერი
ფრანკმა და კიდევ
ბევრს მოსტეხს... ესლა
რიგი ბრიანზეა“.

გაზეთებიდან.




ვერ დაიჭირავს ამ ფრანკსა
მათსავით ვერც ეს ბრიანი...
თავდაღმართისკენ მიჰგორავს,
დაწევა არის გვიანი.

# მიხედეთ!

შიო გოგებაძე, სოფელ გარანიდან, უკვე სახელგატეხილ კალმოსანია მწერლობაში, ცნობილია როგორც თავისი საკუთარი სახელით ისე გარანელის ფსევდონიმით.

პატე თალიკაძეს თვითონ ხომ დასტურ მცოდნე კაცია, იმას დაეჯერება, ის კი ასე ამბობს მის შესახებ:

— შიო საუკეთესო მცოდნე და გამოცდილი მუშაკია კოოპერატიულ ფრონტზე, ჩვენ ერთად დავიწყეთ კოოპერატიული შემოქმედება, ჩვენ ჩავუყარეთ საფუძველი კერძო კაპიტალის სასაფლაოს, ჩვენ ვართ საქართველოს ოუენი, ხოლიოკი, გავარდსი და... დაბოლოს მაჩხაანის „ეპოს“ დამაარსებელსაც მოიხსენიებდა.

ასეა თუ ისე, მართალია, თუ ტყუილი, პატე თალიკაძის ისტორიული ცნობა—ერთი კი ცხადია: შიო დღეს, ერთ ალაგას, ერთ დარგს განაგებს და მის ხელქვეით ძალებს თავისებური ნიჭითა და გამოცდილებით მიერეკება...

საითკენო? იკითხავთ.

ამას გვიჩვენებს შიოს მიერ შეთხზული და დაბეჭდილი დარიგება ამა თუ იმ საკითხების შესახებ.

მართალია, მისი კალმის ნაყოფი ე. ი. წიგნთსავაჭროსა და წიგნთ-საცავს თაროებს ჯერ-ჯერობით ვერ გაშორებია—(ეს რა შიოს ბრალია, მკითხველი საზოგადოების უკულტურობაა! არც გამავრცელებელ-ექსპედიციის საქმე გვივარგა) მაგრამ შიოს ნაწერი მართლა რომ საგანძურია!

მწერალმა ოღონდ დასწეროს თუგინდა გადმოსწეროს როგორც მოახერხებს, გავრცელების საქმე კი მწერალს (თუნდ გადამწერს,) არ ეკითხება...

ამ აზრისაა, სხვათაშორის პატე თალიკაძეც.

გარდა ამისა, წიგნის გავრცელება რა საჭიროა. წიგნი კითხვაში იცვითება, კიდევ ხელმეორეთ გამოცემა ხომ ხარჯებს იწვევს და სხვა.

ალბათ ეს უნდა იყოს იმის მიზეზი რომ შიოს ნაწარმოები მცირეთაა გავრცელებული.

არის მხოლოთ ერთი ჟურნალი „დუღაბი“, ის მართლაც რომ ვრცელდება. იქ, სხვათაშორის, ყურადღებას იპყრობს ერთი რეცეპტი: ფრონტის სადეზინფექციო საშუალება.

აი ზოგიერთი ადგილები ამ დარიგებიდან:

„შეუძლებელია თევზის მოთავსება საპონთან, ან ნავთთან (მართლაც, რომ საგულისხმოა თევზმა შეიძლება საპონი შეჭამოს და ნავთი შესვას).

შეუძლებელია შაქრის ზეთთან დაწყობა (ოღონდაც! შაქარი ზეთში სწრაფათ დნება)...

კარგია ზოგიერთი საქონლის წინდაწინვე აწონვა ან გაზომვა და დამზადება მომხმარებლისათვის მარჯვეთ მისაცემათ.

ეს მართლა კარგია: აწონილსა და გაზომილს ისე ადვილათ ვერავინ მიითვისებს, დანაკლისიც ადვილათ გამოჩნდება და სხვა...

„ნავთიანი ხელით ზეთის ან ბრინჯის აწონა, თევზიანი ხელით შაქრის აღება საქონელს სრულიათ წაახდენს“...

აი ასეთი და მსგავსი დარიგება მართლაც რომ საჭიროცაა და სასარგებლოც.

აი ამიტომაცაა, რომ ასე ვრცელდება „დუღაბი“... წიგნების მაღაზიებში. (თაროებზე ბლომათ აწყვია!!!).

როგორც ალექსი კახაძემ გადმოგვცა—ამ დარიგების ავტორი ამზადებს ამავე სადისერტაციო შრომას—სათაუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კეთილის-მსურველი

„ჩვენ გვინდა მდიდარი მეგობარი და მეზობელი“.

ბალდვინის სიტყვიდან.




არა ვინდომო ღარიბი, არ მოკვდეს ჩემი თავია.
თავიდან ფეხებამდისინ უნდა გაგაძრო ტყავია

რით: „საქონლის დაწყობის წესი კოოპერაციის სავაჭრო დუქნის თაროზე და მისი წინასწარი აწონ-გაზომვა“.

დიდებულია! მიღწევაა!...

აჩირებულო ხალხია იუბილეიმეისტერი ინტელიგენტთა ჯგუფი!

იუბილეი მასწავლებელს, იუბილეი გაზეთის კორესპონდენტს, იუბილეი სცენაზე მოჯახრაკეს, უბილეი საზოგადოთ კვაჭის და... კერძო კაპიტალის, დავით დროიძის, ბახვა ფულავას საწინააღმდეგო ფრონტის ხელმძღვანელთ—შიოს, პატეს, ალექსის და მათსავით უჩინარ საქმიან ხალხს ყურადღებას არ აქცევს!!

ამ მივიწყებულ საქმეს უნდა მიექცეს თუ არა, ბატონო ამხანაგო ტარტაროზო, ყურადღება?

აქეთ მოუწოდებთ ჩვენ იუბილეის ჭახრაკმეისტრებს, ყველა საქმიანსა და უსაქმოს, ყველა სცენაზე მივლენილს თუ სინამდვილეში მომქმედ დეზერტირკის გმირებს.

ჭ. როკაპი.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლევარსი როხროხაძე

## ლევარსის დაბადება

დიდი ვაი-ვაგლახით და თავის მტვრევით, როგორც იქნა ალმოვაჩინეთ ერთი ძვლი დოკუმენტი, რომლის მიხედვით შევადგინეთ ლევარსის დაბადების ამბავი.

იქნებ, ზოგმა ჩვენმა მკითხველმა უკვე იცის ეს ამბავი, მაგრამ, დარწმუნებული ვართ, ბევრს და უფრო მეტს არ ეცოდინება; ამიტომ ინტერესს მოკლებული არ იქნება ერთხელ კიდევ შევეხოთ ამ ამბავს.

როგორც ლევარსის მთელი ცხოვრება თავიდან ბოლომდე საინტერესოა, ისევე საინტერესოა მისი დაბადება.

ეხლა რომ ასეთი დაბადება მოხდეს სადმე მთელ მსოფლიოს მოეფინებოდა ეს ამბავი; მაგრამ მაშინ მახლობელ სოფლების საზღვრებიც არ გადაულახავს ამ იშვიათ და ხაოცარ ამბავს.

თემუყა როხროხაძის ცოლს, ელპიტეს ლევარსი დაებადა დაქორწინებიდან მეშვიდე თვეს, რახაც თემუყა მეტად იკვეხნიდა თავის მეზობლებში და ნაცნობებში:

— არა, ძმაო, ჩემისანა ყაძახი ბერეგის დედა-მიწის ზურგზე... მეშვიდე თვეს გამოვაკვირჩხილებიე ჩემს ელპიტის მშვენიერი ყაზილარი.

მეტიჩარა სოფლის დედაკაცები, რომლებსაც თავისი მეზობლის არავითარი საიდუმლოება არ დაემალება, ასე ამბობდენ:

— ელპიტი ორი თვის ორსული იყო, როცა ჯვარი დაიწერაო.

ეს კიდევ არაფერია. ასეთი მოვლენა ეხლა კიდევ უფრო მეტია, მაგრამ ლევარსის დაბადება მით არის ყველაზე უფრო შესანიშნავი, რომ იგი დაიბადა უკუღმა, ე. ი. დედის ხაშოდან ფეხებით გამოიყვანა მისმა მამამ—თემუყამ.

როცა სოფლის ბიჭები შემდეგ ლევარსის დაცინვით ეტყოდენ:

— შენ უკუღმა დაბადებულოო,—ლევარსი დაიწყებდა მტკიცებას, რომ ყველა ადამიანი, რადგან იგი დადის არა თავით, არამედ ფეხებით, უნდა იბადებოდეს სწორედ ისე, როგორ თვითონ დაიბადა.

მაშინ გურიაში ასეთი ჩვეულება იყო:

როცა ვაჟი შეეძინებოდა ოჯახს—მაჭახელას ისროდენ (ეს ჩვეულება ეხლაც საკმაოდ დაცულია).

თემუყა მაჭახელათ ხელში კარებთნა იდგა და წამდაუწუმ ეკითხებოდა ბებია-ქალს:

— ბიჭია, თუ გოგოა?.. ბიჭია, თუ გოგოა?—

პატარა ლევარსი იგვიანებდა სავსებით გამოსვლას.

უკვე დაბნელებული იყო.

თემუყამ ვერ გაუძლო საყვარელ ცოლის კივილს ,და მახლამ მივარდა.

—ნუ გეშინია, ელპიტი,—ამუგეშა ელპიტი და ლევარსის უსაყველურა:— შემამაძაღლო, აღარ გეყო ამდეხანს მაქანე ყოფნა?! რა დაგრჩენია, რომ ამდეხანს ველარ გამოეტიე? რას ერჩი დედაშენს, რომ მშერ ტურასავით აკივლებ?! გამოდი გარედ დამენახე: ბიჭი ხარ თუ ციცაი.

აღელვებულმა თემუყამ სტაცა ხელი ფეხებზე პატარა ლევარსის, მაგრამ მოხწია თავისკენ და, ელპიტის შეკივლებაზე,—ლევარსი სამშვიდობოზე გამოიყვანა.

— ბიჭია, ბიჭია—შეიძახა თემუყამ, ახლად შობილი ბებიას ჩაუგდო კალთაში, გარედ გამოვარდა და მაჭახელა გაისროლა.

—:—

— ერთისულელი კიდევ მიემატა ჩვენს კუთხეს.

თითქმის ყველა მეზობლებმა ასე სთქვეს, როცა თოფის სროლა გაიგონეს.

—:—

— ბიჭია, ბიჭია... ბიჭი გყავს ბადიში—ამ სიტყვებით მირბოდა გახარებული თემუყა სამზარეულო სახლში, სადაც მისი მოხუცი დედა დომ-ლომას ამზადებდა მელოგინესათვის.

თემუყამ ფეხი წამოჰკრა რაღაცას.

— ვინ დააგდო აი ჯინკი აქანა?!—და მოინდომა „ჯინკის" გადაგორება,—მაგრამ: ოი, უბედურებავ:

მის მაჭახელას სამზარეულო სახლიდან მომავალი დედა მოუკლა.

თემუყა მიხვდა და დაჭრილ დათვსავით მორთო ყვირილი:

— ნენავ, რა მიქენი აი? ისე სული სად გაგეპარა, რომ ერთხელაც არ ამოგიკვნესია!?! რამდენი ხანია ცხოვრობ და არ მომკვდარხარ? ახლა რავა მოგივიდა, რომ ასე დროს მოკვდი?.. მარა არა უშავს... ერთი მოკვდება, მეორე დაიბადება... ასეთია ეს ქვეყანა...

დიდ მწუხარებას გამოიწვევდა ეს ამბავი, რომ მახლობელ მონასტრიდან ჩამოსულ ბერს არ ნუგეშებია ასე:

— ნუ იდარდებთ... მერე რა უყოთ, რომ ასე მოხდა... იმ ღამეს, როცა ალექსანდრე მაკედონელი დაიბადა, ხულელმა შეროსტრატემ დასწვა მშვენიერი ტაძარი, რომელიც ისევ ააგო შემდეგში ალექსანდრემ... ჭეშმარიტად: ახლად დაბადებულიც სწორედ ალექსანდრესავით დიდი კაცი იქნება.

— აგი მეც ვიცი, მარა, ხომ იცი, რაცხა მაინც გეწყინება, თვარა ჩემი შვილი რომ დიდი კაცი იქნება, მაგას არ უნდა ლაპარაკი; ვირია [illegible] ამას და ალბად ტვინით გატენილი იქნება.

— კი მარა, დაილაპარაკა ვიღაცამ, ალექსანდრე მაკედონელმა ისევ ააგო იგი ტაძარი... და, მაშ, ალბად ამ მიცვალებულსაც გააცოცხლებს შემდეგ ახლად დაბადებული!!

— თუ კი ქრისტე აცოცხლებდა მიცვალებულებს, ,ჯოთომდა რა იცი, რომ ჩემი ბიჭი ქრისტეზე ნაკლები იქნება და მის ბებიას არ გააცოცხლებს?!

თემუყას ამ სიტყვებზე ყველას სიცილი წასკდა.

## პირველი პაემანი

„თუ შეგიძლია ამელამ მოდი,
როცა დაწვება ჩვენები ყველა...
ლობეზე ფრთხილად გადმოიარე,
მომიკაკუნე კარებზე ნელა...

არ დავიზარებ:—გაგყობი ცოლად
გამხდი ბედნიერს ქვეყნად მე თუ კი"...

. . . . . . . . . . . . . .

გადავიკითხე,—და არ მჯეროდა
თუ ამას მწერდა ჩემი ედუკი.

გული გადიქცა ფრთხიალა ჩიტად
და აცეკვავდენ ფეხები მისით...
ო, როდის მოვა, ნეტავი, ღამე,—
ჩემს ედუკისთან ვერ მივალ დღისით.

მზე გაყეყეჩდა ქორის ბუდეზე,
აღარ აპირებს დღე დაღამებას...
მაგრამ მეღირსა, გვიან საღამოს
ბოლო მოელო ტანჯვა-წამებას...

—:—

ერთად ვისხედით ხის ძირში ღამით,
დასეირნობდა ღრუბლებში მთვარე...
ჩვენსავით იყო გარინდებული

ჩვენსა გარშემო მიდამო-არე.
ბოლოს სიჩუმე მე დავარღვიე
და ჩემს ედუკის ვუთხარი ასე,
— იმ მთვარის ხელა ოქროს ფულადა,

ჩემო ედუკი, შენ დაგაფასე.
რა სჯობს სიცოცხლეს ამ ქვეყანაზე,
დღით მზე ანათებს და ღამით მთვარე...
მიკვირს,—რომ კვდება ადამიანი

და ურჩევნია სოფელს სამარე.
ჩვენ კი ვიცხოვრებთ, მინამ მოკვდებით...
შეხედე მთვარე როგორ დიდია;
ასე გგონია,—თითქოს ზეცაში

სცურავს და არსად ის არ ჰკიდია.
მუნჯსავით სდუმდა ჩემი ედუკი,
ფიქრებს მიჰყავდა ის ჯანდაბაში...
ორივე ერთად ვიხრაკებოდით
სიყვარულისა ერთს დიდ ტაფაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ოღონ თანახმა იყავი შენა
და ვარს ვერ მეტყვის მე შენი მამა...
გიყვარდეს მაშინ ტკბილი ცხოვრება
და ამ ქვეყნისა გემოზე ჭამა.

—:—

ერთად ვისხედით ხის ძირში ღამით,
ხეზე მჯდარიყო მამალ-დედალი;
„გადმოიმასქნეს“, ცხვირზე დაგვეცა,
მკერდს მიმშვენებდა, როგორც მედალი.

გავბრაზდი მეტად უზრდელ ქათმებზე,—
და სახლში ადგა ვილაც ზეზე.
ხმაურობაზე ძაღლი აყეფდა
და სახლში ადგა ვილაც ხეზე.

ედუკი ხელად სახლში შევარდა,
მე კი ვუშველე სახლისკენ თავსა.
უგზო-უკვლოდ გავრბოდი სადღაც
და მივარღვევდი შუაღამეს შავსა.

იმ ღამეს ძილი თვალს არ უნახავს
და გულს გაჰქონდა სულ ბაქი-ბუქი;
თანაც უფრთხობდა თვალებს ძილის რულს
გვიან ამოსულ მთვარისა შუქი.

**ლევარსი—„სიძე თვალის სინათლე“**
ლეკურ-ხმალი ჩამოვიკიდე,
თავს დავიხურე ქუდ-ყაბალახი...
სიმამრთან წაველ... ჩემი შემწეა

ღმერთი, ქრისტე და კიდევ ალახი.
— სალამი შენდა, მოხუცო კაცო,
შენთან მოვსულვარ, რომ გთხოვო ქალი.
(ამ დროს ედუკი გვიდარაჯებდა

და მას მოეკარი კარებში თვალი)
სახელი ჩემი არის **ლევარსი**
და **რონროხაძე** ჩემი გვარია,—
და ამის შემდეგ მე ასე ვფიქრობ,—

რამ დაგალონა, ედუკი ჩემო,
მითხარი რისთვის მოგიწყენია?!
ასეთი ბიჭი, როგორიც მე ვარ
აწ საკუთრებით მხოლოდ შენია.

შენ მე ვერ მიცნობ რა ვაჟკაცი ვარ.
მე მთელს სოფელში არა მყავს ტოლი,—
და ბედნიერად თავს უნდა თვლიდე
შენ რომ იქნები ლევარსის ცოლი.

ერთს დღეს დავთესავ ათ ქცევა მინდორს,
ორ დღეს გავმარგლი ამოსულ ყანას
და მოსავალი მჭადის მექნება,
რომ ის ეყოფა მთელსა ქვეყანას.

არა მოგაკლებ საჭმელს და სასმელს
უხვად გექნება ლობიო, მჭადი.
ჭამე მუცელში რამდენიც ჩავა,
გაძეხი მაგრად, სადაც გინდა წადი...

თვით მე არ მყოფნის ყოველ დღიურად,
საძღომად მჭადი სამი კეცია;
როცა სუფრაზე მჭადს მოიტანენ
მე მას ვეცემი როგორც მხეცია.



სახელი ჩემი არის ლევარსი
და რონროხაძე ჩემი გვარია...

ალარ იქნება თქვენგან ვარია.
მოხუცმა მითხრა:—მე შენ ქალსა მთხოვ..
ძალიან კარგი,—მაგრამ მითხარი:
თუ გყავს ოჯახში უღელი ხარი?—

რაც შეგიძლია დამისახელე,
ჩამომითვალე მთელი ქონება,
და მოგცემ ქალსა, მე თუ კი შენი
მდგომარეობა მომეწონება.

მე შემიძლია: ყანის ხვნა, თესვა;
ვიცი: სიმღერა, ცეკვა, თამაში.
მყავს: სამი ძროხა, ხარი კამეჩი,
თორმეტი ღორი და ორი რაში.

— კარგი... გეყოფა—მითხრა მოხუცმა,
შენმა სიმდიდრემ მე გამაოცა...
ღევარსი, სიძევ თვალის სინათლევ—
და აქ მოხუცმა მაგრად მაკოცა.

ზმუკი.



# სიკვდილის კლანჭებში

(გაგრძელება)

დიდის ტრიალის და კბილების კრაჭუნის შემდეგ ერასტიმ, როგორც იქნა, მიიღო ჩვეულებრივი მდგომარეობა.

ესე იგი, ყირამალა აღარ ეკიდა.

მიწის სველ კედლებზე ხახუნით და სივიწროვით ის მიხვდა, რომ ორმოში იყო.

ალბად ეს ორმო ელექტრონის ბოძისათვის იყო განმზადილი, მაგრამ სხვადასხვა მიზეზთა და გარემოებათა გამო ბოძის მაგივრად შიგ ერასტი მოხვდა.

როდესაც ერასტიმ მრავალფეროვან და მრავალსართულიან გინებით გული მოიოხა, ორმოდან ამოძრობის საკითხი პირველ რიგში იყო!

ხელების იქით-აქეთ ფათურის დროს უცბად მისი თითები რაღაც წვრილ თოკს მოხვდა.

რა თქმა უნდა, თოკი თავისთავად არაფერს არ ნიშნავდა, მაგრამ უცნაური ის იყო, რომ ეს თოკი სადღაც ზევით იყო დამაგრებული, და ქვევით თითქოს რაღაც სიმძიმე ეკიდა.

ერასტიმ ჩააყოლა ხელი თოკს, და როგორც მოსალოდნელი იყო, ბოლოს რაღაც მაგარს მიარტყა ხელი.

ალბად ქვას.

„სიღრმის საზომია"... გაიფიქრა ერასტიმ, მაგრამ ეს ფიქრი ისევ განცვიფრებამ შესცვალა, როდესაც ქაღალდების ფურცლას შეჩვეული თითებით, ნათლად იგრძნო, რომ ამ მაგარ საგანზე რაღაც დაკეცილი ქაღალდი იყო შემოხვეული.

— აქ რაღაც სხვანაირადაა საქმე, ჩაილაპარაკა ერასტიმ და თოკი საგანს მიაწყვიტა.

ეხლა საჭირო იყო ზევით ამოსვლა.

ორმო არც ისეთი ღრმა იყო.

ბოლოს ერასტი ტროტუარზე იდგა და უცნაურ საგანს ხელში ატრიალებდა.

გარშემო სრული სიჩუმე და სიბნელე იყო. მხოლოდ სადღაც შორს ვარსკვლავივით ბჟუტავდა ობოლი ფანარი.

ერასტი სინათლისაკენ გაეშურა. მაგრამ უცბად გაახსენდა, რომ ჯიბეში ერთი კოლოფი ასანთი ჰქონდა.



ერასტი ორმოში იყო ჩავარდნილი.

ცნობისმოყვარეობით შეპყრობილმა ველარ მოითმინა, და ჯიბეში კოლოფს დაუწყო ძებნა.

პირველი, რაც იმან ასანთის სინათლეზე დაინახა,— ეს ყიო მისივე—ტალახში ამოსვრილი ტანისამოსი.

მაგრამ სამუშაო ტანისამოსს ასეთი მორთულება ზევრს არაფერს დააკლებდა და არც შემატებდა; ამიტომ ერასტიმ იმ საიდუმლო საგანს დაუწყო თვალიერება.

მაგარი სხეული მართლაც ქვა აღმოჩნდა, და მის გარშემო დაკეცილი თეთრი ქაღალდი იყო შემოხვეული.

ერასტის ერთი კოლოფი ასანთი არ ენანებოდა, და ღერს ღერზე უმოწყალოდ სწვავდა.

ბოლოს ათრთოლებული ხელებით გახსნა ოდნავ შესველებული ქაღალდი, და სამ ღერ ასანთს გაუქნია ერთად, რომ ცეცხლი უფრო დიდხანს ყოფნოდა. შემდეგ მოუთმენლად ჩააცქერდა ქაღალდს. რაღაც წერილი იყო საბეჭდ მანქანაზე დაბეჭდილი.

რაც უფრო დაუფრო კითხულობდა ერასტი ამ უცნაურად ხელში ჩავარდნილს წერილს, მით უფრო მატულობდა მისი გაკვირვება, რომელიც ბოლოს საშინელ შიშათ გადაექცა და თავზე თმები ყალყზე დაუდგა.

დამბლა დაცემულივით იდგა.

— რას ნიშნავს ეს?.. სიზმარში ვარ, თუ ისე სასტიკათ მთვრალი, რომ ასეთ უცნაურ რამეებს ვხედავ ცხადათ? გაიფიქრა ერასტიმ.

ეხლა უკვე ხუთ ცალ ასანთს გაუქნია ერთად და ქაღალდს თავიდან გადახედა.

ქაღალდში გარკვეულად ეწერა:

პატივცემულო ამხ. ერასტი!

თქვენი ყოველი ნაბიჯი და სურვილი ჩვენ ზედმიწევნით ვიცით. ჩვენი გზირები სინდისიერად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას.

გატყობინებთ, რომ თქვენს განკარგულებაში მხოლოდ ერთი კვირაა, და თუ ამ ხნის განმავლობაში არ დაიწერეთ ჯვარი იმ პატივცემულ მანდილოსანზე, რომელსაც თქვენ მშვენივრად იცნობთ, შედეგების პასუხისმგებელი არ ვიქნებით.

**ვერ გიშველისთ ვერც მილიცია, ვერც გაქცევა და ვერც გაფრენა.**

ყველაფერი მხედველობაში გვაქვს მიღებული. ჯვარისწერა უნდა იყოს ყოვლად კანონიერი, ე. ი. გატარებული „მმაჩ"-ში.

ერთი კვირა საკმაო ვადაა ჯვარისწერისა და სიკვდილის შორის არჩევანისათვის...

პატივისცემით: თქვენი კეთილის მსურველნი.

წ. შ. სავსებით დარწმუნებული ვართ, რომ როგორც შეგნებული და ჭკუიანი ადამიანი პირველს ამოირჩევთ.

მაშ გახსოვდეთ შემდეგი ორშაბათი.

თ. კ. მ.

ერასტიმ კიდევ ერთხელ გადაიკითხა ეს უცნაური ქაღალდი და კინაღამ გული შეუღონდა.

—მაშ მისი „კეთილის მსურველნი" ეხლაც უთვალთვალებენ მას... ცხადია, კატაც იმათმა გამოუშვეს... ორმოშიდაც იმათაც ჩააგდეს... მაგრამ მაინც რა იცოდენ,რომ იგი ამაღამ უსათუოდ ამ ქუჩაზე გამოივლიდა.

ერასტის იქით-აქეთ მოხედვისაც ეშინოდა.

ყოველმხრიდან გზირების გამჭრიახი და ავი თვალები ელანდებოდა.

— ბოლოს და ბოლოს, რა უნდათ ჩემგან?.. რომელ ქალზეა აქ ლაპარაკი... ვინ არის ის „პატიოსანი მანდილოსანი“, რომელსაც მე ასე მშვენივრად ვიცნობ?..

გადაუწყვეტელ ამოცანებივით უდგა ეს საბედისწერო საკითხები ერასტის თვალწინ.

რა ქნას, როგორ უშველოს თავს?.. მაგრამ რა ავტორია ის ავტორი, რომელიც გულაჩუყებული ხელს გაუწვდის უბედურებაში ჩავარდნილ თავის გმირს და კრიტიკოსების გულის გასახარებლად ვაის-ვაგლახით და გაჭირვებით იქიდან ამოათრევს, ამიტომ ჩვენც დავტოვოთ ეხ-



— იკეტება, ძმაო. იკეტება!..

ლა მწარე საგონებელში ჩავარდნილი ერასტი, გადავფურინდეთ ნახევარ საათით უკან ჩვენთვის უკვე ნაცნობ რესტორან „ოფშკვითში“ და თვალყური ვადევნოთ, თუ რა ხდებოდა იქ, როდესაც ერასტი ორმოში იყო ჩავარდნილი.

ერასტის გამოსვლის შემდეგ, რესტორანში მხოლოდ ბნელ კუთხეში მაგიდასთან შემომსხდარი კამპანია დარჩა.

„ოფშკვითში“ უცნაური სიწყნარე იყო.

მაგრამ, როგორც სჩანდა, დღეს მიკიტანი არ იყო დაინტერესებული მეტ მუშტრებში.

როგორც კი ვინმე ახალი შემოყოფდა თავს გაქონილ კარებში, მიკიტანი გულმოსულად შეუბღვერდა:

— იკეტება, ძმაო, იკეტება!..

მაგრამ გაქრებოდა თუ არა არასასიამოვნო სტუმარი, მიკიტანი სრულებითაც არ ფიქრობდა დარაზების მოხურვას.

მაგიდასთან შემომსხდარი ხალხი ჩუმად ბაასობდა.

უცბად მესამე ვაჟი, რომელიც მთელ საღამოს თითქმის ხმაამოუღებლივ იჯდა, ზეზე წამოიჭრა და ისეთი სიმძლავრით დაჰკრა ხელი მაგიდას, რომ შეშინებულ მიკიტანს გული ხუთჯერ გადაუბრუნდა საბუდარში.

— ეს არ მოხდება, არა!.. არა!..

სხვები თითქოს მოელოდენ ამას.

ქალმა ლამაზი შუბლი შეიჭმუხნა, და მისმა ელვარე თვალებმა სასტიკი გამომეტყველება მიიღეს.

ჩოხოსანი მშვიდათ წამოდგა ზეზე და გაანჩხლებულ ვაჟს მხარზე ხელი დაადო.

— დავით, დაჯექი!.. შენი საქმე არ არის ეგ...

— არის!.. და ეს არ მოხდება... არა!..

— ეგ ელენემ უკეთ იცის, შეუტია ეხლა ულვაშებგაპარსულმა.

ყმაწვილი, რომელსაც დავითს ეძახდენ, ქალს მიაჩერდა, მაგრამ ის თითქოს ფრჩხილების წმენდაში იყო სავსებით გართული.

ჩოხოსანმა ჩაიცინა.

— რას ფხუკიანობ, ბიჭო!.. ვერ დეეტევი შენს ტყავში?.. ხომ ხედავ მაგ დასაფსებ თვალებით, რომ ერთფიორა ყურადღებასაც არ გაქცევენ... ხა...ხა...ხა!..

ქალი ფრჩხილების წმენდას არ ეშვებოდა, და ამჟამ დაკარგული ვაჟი უსიტყვოდ დაეშვა სკამზე.

მიკიტანი გარინდებული მისჩერებოდა ამ ამბავს, ბოლოს ულვაშებ-გაპარსულმა ჩოხოსანს რაღაც ჩასჩურჩულა ყურში.

ქალმა ისარგებლა ამ შემთხვევით და გაგულისებულ ჭაბუკს ელვის სისწრაფით გადახედა, რაღაც ანიშნა.

ყმაწვილი აენთო.

მიკიტანი თითქოს რაღაცას მიხვდაო, ძუნძულით კარებისაკენ გაიჭრა, მაგრამ უკვე გვიან იყო.

თვალის დახამხამებაში ყმაწვილი კარებთან გაჩნდა, მიკიტანი მძლავრად გადმოისროლა დახლისაკენ, და როგორც ავი სული ღამის წყვდიადში მიიმალა.

ულვაშებ-გაპარსული და ჩოხოსანი პირდაღებულნი მისჩერებოდენ ერთმანეთს...

(შემდეგი იქნება)

**სინემატო.**

# საუბარი მიხო-პროპკასთან

საუბარიმიხო-პროპკასთან

ეს არ იყო შემთხვევითი საუბარი ანუ ინტერვიუ. ჩვენი ჟურნალის რედაქციამ სპეციალურად გამგზავნა მე ამ დავალებით.

— ერთი ორიოდე სიტყვა მაინც გამოსცანცლე, მეუბნებოდა ტარტაროზის მდივანი, როცა მე უარი ვსთქვი დავალების შესრულებაზე.

— შე ოხერო, ნუ თუ მიხო არ დაგდებს ხათრს და რამეს არ იტყვის ასეთ მნიშვნელოვან მოვლენის შესახებ?

— დრო არ ექნება, მის პირად მდივანს გამოვკითხავ, სულ ერთია! შევბედე მე მდივანს.

— ბატონო, მდივანი კი არა თითონ მიხო უნდა ნახო, მდივანი რა ოხრად მინდა. მიდი უთხარი, საზოგადოებას აინტერესებს თქვენი აზრი; ნუ დაგვამადლითქო.

რა გზა მქონდა,—

ავდექი და

წაველი.

რა გინდოდაო! იკითხავთ.

რა მინდოდა და საზინაო საკითხის გამორკვევა. საზინაო ნიხრის შედეგების გათვალისწინება.

დიახ, წაველი. წაველი მართალია, მაგრამ არ ვიცოდი სად წავსულიყავ. მიხოს ნახვა არ არის ადვილი. ის კი არა და შეიძლება ითქვას, რომ ძნელიც არის და ხშირად შეუძლებელიც:

მიხოს სამსახურის ადგილი არავინ იცის.

არ იციან მისი ტელეფონის ნომერი და წარმოიდგინეთ არც ბინა, ზოგი იმასც კი ამბობს, რომ მიხოს ბინა არსად არა აქვსო.

უკაცრავად, მცირეოდენი უკან დახევა:

მიხოს ვინაობა მე არ გამირკვევია, რადგან იგი საკმაოდ გარკვეული და ჩამოყალიბებული პიროვნებაა. ამას გარდა, „ტარტაროზის“ ფურცლებზედაც მიიღო მისმა პორტრეტმა მზის ვანები.

მხოლოდ ერთი შესწორება: „ტარტაროზში“ მიხო გამოყვანილი იყო როგორც მაჰმადის რჯულის კაცი.

ჩვენ ვაწარმოეთ კვლევა-ძიება, რომელმაც გამოარკვია, რომ მიხო არ არის მაჰმადიანი: მაკლერშები სრული დანამდვილებით ამბობენ, რომ მიხოს არ მიუღია წინადაცვეთა, არცა თუ მონათლული არის. ყოველ შემთხვევაში ერთი რამ ცხადია, ის არ არის არც ხონთქარი, არც ფაშა და არც ფაშისტი, (როგორც ეს ჰქონდათ წარმოდგენილი). ის არის სრ. თბილისის მაკლერთა საზოგადოების ვიცე პრეზიდენტი, ანუ ფრანგულად: **„მიშელ, ლე შეფ დე მაკლერ“**. თითონაც ასე აწერს.

ასე იყო თუ ისე, მე დიდ ხანს ვეძებე მიხო. ის იყო დავკარგე მისი ნახვის იმედი, რომ ყოფ. მელიქჰაზარიანცის

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იმედის დაღუპვა

„ბრიანს ერთად-ერთი იმედი აქვს, რომ ამერიკასთან საქმეს მოაგვარებს და მისგან მიიღებს სესხს, რომლითაც დაღუპვისაგან დაიხსნის სახელმწიფოს“.

გაზეთებიდან.




ერთად-ერთი ხსნა მხოლოდ ის არის;
თუ მივამაგრე იმაზე გემი,—
ვფიქრობ გადავრჩე დაღუპვისაგან
და გამოსწორდეს საქმენი ჩემი.

რა უბედური ამინდი არის,
ამ გემს დაღუპავს ტალღების სრბოლა.
მიშველეთ ვინმემ ვისაც გაქვთ ფული,
თორემ არ ძალმიძს მე ასე ბრძოლა.

სახლის ერთ-ერთ კუთხეში დავინახე, მაღალი ბოხრის ქუდი. ქუდს ქვევიდან ამოდიოდა მეტად მყრალი ბოლი და ბოლში კი გახვეულიყო ვიღაც უცნობი.

რეპორტიორის ყნოსვით მივხვდი, მაშინვე მივხვდი, რომ ეს იყო ჩვენი მიხო.

— ბონ ჟურ პრინც მიშელ!—მივესალმე მოწიწებით.

— ზრასტიტე, ბონ ჟურ! კომნატ ხატიტე? გიშოვით აუცილებლად... რამდენი ოთახი გინდათ?

— არა, ბატონო, ოთახისთვის არ შეგაწუხებთ, მინდა მხოლოდ თქვენი აზრი გავიგო საბინაო კრიზის და ტარიფის შესახებ.

— ო—ო! ეგ სხვა საქმეა. საბინაო კრიზისი არის, მაგრამ რა ვუყოთ. მე ეხლა მეგულება შვიდი ოთახი, რომელიც შეანელებს გასაჭირს...

თქვენ რამდენი ოთახი გინდათ?

— მე, არც ერთი. მე მინდა თქვენი აზრი საბინაო ტარიფის შესახებ.

— ეგ მე არ მეხება. მე ჩემი სტავკა მაქვს.

— როგორ უყურებთ საბინაო მშენებლობას?

— ისე, გვარიანად.

— რას იტყვით სახლების შეკეთების შესახებ?

— მე მგონია, რომ სახლებს შეაკეთებენ, ხოლო თუ არ შეაკეთეს, მაშინ იცოდეთ, რომ სახლები შეუკეთებელი დარჩება და თუ შეუკეთებელი დარჩა, მე მგონია არ ივარგებს.

— რას იტყვით უქსის შესახებ?

— ტუნი რომ არის?

— დიახ! უძრავ ქონებათა სამმართველო.

— ტუნის შესახებ ვიტყვი, რომ მაგ ტუნმა ხალხს ტვინი გაუხვრიტა. პირადათ მე ჰლექში ჩამაგდო.

— რატომ?

— ოთახი არ მიშოვა.

— როგორ?! თქვენ ოთახი არ გაქვთ?!

— ... არა მაქვს.

— მაშ სად სცხოვრობთ?

— ერთი ნაცნობი მყავს. ორი ღამე გამათევია და მერე ნახევარი ოთახი მე დამრჩა. ალმასკომის წესდება იძლევა ამის უფლებას.

— მაშ თქვენ უქსი არ მოგწონთ?

— არა... მომწონს... როგორა არა. მომწონს კი არა მისი გულისთვის (დაიბნა მიხო. მიხვდა, რომ „ტარტაროზის“ გაგზავნილი ვიყავი). ეს ლექციც ჩემი გამოთქმულია:

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ეხმარებიან"

მოკავშირეებს უნდათ გერმანია ერთა ლიგაში შესვლით კიდევ უფრო დამორჩი-ლებული ჰყავდეთ.




მიყვარს ვარდი, მიყვარს ია,
უქსის დარდმა გადამრია
სამი წელი ოთახს მპირდა
ახლა უარს მეუბნება.

უკაცრაოდ, მაგვიანდება, სთქვა მიხომ, ჩვენი სკ-ბის წლიური კრებაა და პირველი მოხსენება მე უნდა გავაკეთო.

— ერთი კითხვა კიდევ!

— უკაცრაოდ, მეჩქარება.

— ერთი მხოლოდ!

— არც ნახევარი.

— როგორ უყურებთ თქვენ...

— როგორ უყურებ? არაფერსაც არ უყურებ! მე რომ თქვენ გიყუროთ ქკუაზე შევიშლები! მომაძახა მიხომ და იქავე ავტოში ჩაჯდა.

მე ალარ გამოვეკიდებივარ. ინტერვიუ უკვე გამოვართვი და ცალიერ მიხოს რა თავში ვიხლიდი!

ტერსიტი.




# „ახალი ხანა“

სასტუმრო „ნოე“-ში გაიხსნა ახალი კინო-თეატრი „ოდეონი“. როგორც ამ კინოს აფიშები გვაუწყებს, სურათების ჩვენება ხდება უეკრანოთ, რაიც თურმე კინემატოგრაფიაში ახალ ხანას ქმნის:

ერთხელ თურმე ერთ ჭკვიან კაცს
მოენატრა თავის განთქმა:
— თუ ედისონს არ ვაჯობო,
წყეულ ვიყო!... დასდო აღთქმა.
ყველამ რაღაც მოიგონა:
ვინ რას ფიქრობს, ვინ ქმნის რასა?..
მაგრამ ერთობ საგულისხმო
არ მინახავს მაინც არსად.
მე კი უნდა მოვიგონო
ისეთი რამ საკვირველი,
რომ ახალი ხანა შევქმნა,
ჩემზე ქუხდეს მთა და ველი.
მოსაგონი ათასია,
მილიონი ულეველი,
მაგრამ მათში, რომ არ შევრცხვე
მე მოვკიდო რომელს ხელი?..
დღე გავიდა. შემდეგ ორი...
შემდეგ კვირა... შემდეგ წელი...
მასალების თრევისაგან
მოწყდა თითქმის ჩვენს გმირს წელი
ვერ დააფრთხო უსახსრობამ,
ვერც ყინვებმა, ვერცა წვიმამ
და დასახულ დიად მიზანს
ბოლოს მაინც მიაღწია.
მოიწმინდა სიმწრის ოფლი,
და გაზეთებს მისცა ცნობა,
რომ მანქანას მისგან შექმნილს
ხალხი მალე გაეცნობა.
ბოლოს დადგა ეს დღეც დიდი,
და აივსო ხალხით ზალა...
თითქოს მახეს მოხვდა ჯიბე,
და იცინის თითქოს ზარა.
თურმე, მომგონს კამეჩები
(სად მიიყვანს კაცს დროება)
ჩვეულებრივ ურმისათვის
ბოლო—თავში გამოება...
ეს კი არვის არ ენახა
არასოდეს არც ერთ დროში...
თუ არ გჯერათ და გსურთ ნახოთ

# სოფელი ნახუტური



გოგია უიშვილის გასამართლება

## მუქარის ქვეშ

მტრები ქვეყნად არვინ მყავდა,
არ ვიცოდი არც მე კბენა,—
მაგრამ დღეს კი კარგად ვხედავ
რას მიშვრება ჩემი ენა.

ამის დასამტკიცებელი
კიდევაც მაქვს მე საბუთი.
(თუნდაც წონით, რომ ავიღოთ,
ის გამოვა ათი ფუთი).

### წერილი ქეთოსგან

„ტარტაროზ“-ში რომ ჩემს სახელს
ჩირქსა სცხებ და ესვრი ტალახს,—
თუ, რომ შემხვდი, შენ ლაჩარო,
სულ გაგკუნწავ, ვფიცავ ალახს.

თუ რომ კიდევ გაგიბედავს
ან დაგიძრავს ენა ხალხში,—
იცოდე, რომ მოგიხდები
შენს სისხლს დავღვრი მე შენს სახლში

### ჩემი პასუხი ქეთოს

გპირდები და ფიცსაც გაძლევ
ხმას არ დავსძრავ აწი ხალხში.
მაგრამ დიდად გამახარებ
თუ მეწვევი ხოლმე სახლში.

### წერილი ნინასაგან

შენ ვიღაც ოხერი ხარ
„ობოლი“ თუ ვინმე „ბლიკვი“,—
რას მერჩოდი „ტარტაროზ“-ში
რომ გამკარი „ტლიკვი“.

არაფერიც არ ყოფილა
შენ რომ ჩმახავ იმის გვარი.
ალბად გსურდა რომ შენ ჩემზე
დაგეწერა უნდა ჯვარი.

მაგრამ არა, უკაცრავად,
შენფერებთან არ მაქვს საქმე.
იდე: ბნელ ღამეში
უდროოდ არ შემხვდე სადმე

### ჩემი პასუხი ნინას

ჩემო ხატად საფიცარო,
თვალჟუჟუნა ჩემო ნინა,
გასკდეს მიწა, შიგ ჩავარდეს
ვინც შენ ასე გაწყენინა.

არ მეღირსოს დაღამება,—
წუნი დაგდო შენ რამეში...
შენ მპირდები და მეც ველი
შენს შეხვედრას ბნელ ღამეში.

### წერილი დიმიტრისაგან

მე მივიღე ცნობა, რომ შენ
ჩემზე გითქვამს რაღაც ცუდი.
მიტომც მინდა მე მაგ საქმეს
გამოვაბა გრძელი კუდი.

როდის იყო, რომ მესამე
მოვიყვანე სახლში ცოლი.
შენ ვის ლანძღავ?.. განა მე ვა რ
შენი ძმა და შენი ტოლი?!

საკითხს დავსვამ სადაც ჯერ არს,
ხელად მოგხსნი, დამერწმუნე,
თუ რომ ისევ „ტარტაროზი“-თ
თავი შენ არ გაიმტყუნე.

### ჩემი წერილი ტარტაროზს

დიმიტრისთან გასაგზავნი
ვერ დავსწერე ჯერ პასუხი,
დიმიტრი კი პირიდან ცეცხლს
აფრქვევს ჩემგნით შენაწყენი.

კარგად ვიცი რომ არა ვარ
მისი ძმა და მისი ტოლი
არას ვიტყვი, თუ გინდ აწი
იყოლიოს ასი ცოლი.
გევედრები, ტარტაროზო,
დამიფარო მე საწყალი...

პ. ობოლი.

გაუგზავნეთ თქვენს დიმიტრის
ერთი დოქი ცივი წყალი.

ტარტაროზი.

—:—

## ვანისათვის

მოკეთეს მონატრებია,
ქამანჩავ ჩვენი კილოო,—
ზოგისთვის შხამი-სანსალა,
ზოგისთვის ენა ტკბილოო.

ასეთ დროს ჩვენ, რომ დავჩუმდეთ
იქნება სათაკილოო.
ამ ჩვენს ვანშიც ხომ ბევრია
სატირალ-სასაცილოო.

მძიმად ავასხათ ამბები,
მივართვათ ტარტაროზსაო;
დამჯდარა თბილის ქალაქში
და იქ ატარებს დროსაო.

ყურადღებასაც არ აქცევს
ვანის ამბების „გორსაო“.
სხვაგან წვრილმანებს დაეძებს,
იქეთ, სულ სადღაც შორსაო.

აქ ძველი ავან-ჩავანი
იწვრთნიან ენა ტორსაო.
სულ ყველას განზე უბღვერენ
ვინც იტყვის მართალს სწორსაო.

გადააქციეს სოფელი
ძველი ნაშთების ბუნაგათ
და მოევლინენ ისინი
ყველა ადგილებს მსუნაგათ!

დაუკარ, ჩემო ქამანჩა,
დაუკარ აბა ტკბილათა
კოოპერატივში შევიდეთ
ფეხაკრეფით და ფრთხილათა.

იაგო—ძველი მწერალი,
სპეკულიანტი კოლია.
წვრილფეხა ჩარჩი ვარლამი
ესეც ხომ თანმიმყოლია.
(კალეს ხომ სპირტის ზიდვაში
არვინ ჰყოლია ტოლია)

———

ეხლა კი ბანკში მიხაკოს
მივულილინოთ ტკბილათა;
ტარიელ არ გაგვეპაროს,
იმასაც ვარგოთ წილათა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ძველი აზნაურები
გაგვითამამდენ დიდათა.
კრებაზე ლასხიშვილი ჰყავთ,
ჭიჭიკო მაშველ ხიდათა.
(ეს გაფხეკილი ვექილი
ყველას ეპყრობა ფლიდათა)

აქ ალმასკომის წევრია,
იქ გამგე ცხრა-წლედისაო.
ვითომც ის არის „წითელი“,
გლეხებზე ცრემლებს ღვრისაო
(ამნაირ მელაკუდობით
გაივსო თვისი ქისაო)
ვანში ძველათა ვინც მკიდა,
ისევე იგი მკისაო.

კოწიას ვკითხოთ: „გენაცვა,
რა იქნა „პუნქტის“ ფულები“.
მისი აკრეფით ჩვენს გლეხებს,
რომ შეუწუხეთ გულები?!

---

ეხლა ეს კმარა, ტარტაროზ,
ამბათ და მოსასმენადა,—
და თუ ჩამოხვალ შენ ვანში
ჩვენს გულის მოსალხენათა—

თან წამოიღებ გრძელ კუდსა
ორგულთა გასაწკნელათა—
აქაურ ამბებს ასეთებს
ჩვენ გადაგიშლით მთელათა.

კვინტაძე.

---

# რას ამბობენ:

(შორაპანი)

ამბობენ: „ჩვენს აღმასკომში
არ არის თავმჯდომარეო.
გლეხები დიდხანს უცდიან,
ის დარბის გარე-გარეო.

თურმე ნუ იტყვით,—მან ბევრჯ
მოატყუა ქალიო;
მუდამ სოფლებში ნავარდობს,
არა ჰყავს ტოლი, ცალიო.

---

ერხელ ასეთ დროს მან თურმე
ჰქნა დიდი საქმე ილემსო. *)
იქ ქალი შეჰყვარებოდა,
ილესდა მისთვის კბილებსო.

ქალმა მიმართა გაიოზს:
„შენს ულვაშს ვენაცვალეო.
მე სიღარიბის მოწმობა,
მჭირდება ძლიერ მალეო.

ამიტომ იქ გეახლები
აუცილებლად ხვალეო;
ეს ამისრულე და შემდეგ
რაც გინდა დამავალეო“.

ეს გაეხარდა გაიოზს,—
— მიმართლებს ალბად ბედიო.
ქალს უთხრა:—შენ გენაცვალოს,
სულიკო, ეს ბეჭედიო.

წუღული.

# რომელია?



— მამა ჩემო, ეს კედლის გაზეთია?
— არა შვილო, გაზეთის კედელია.

---

## თბილისის დამზღვევ სალაროს კედლის გაზეთი



— ადგილკომის პასუხისმგებელი მდივანი: „დიდის ყურადღებ გადაათვალიერეთ წერილები, არაფერი გაგეპაროს ადგილკომის წინააღმდეგ“!..

სარედაქციო კოლეგიის წევრთაგანი: „ხომ ხედავ, როგორ ვაუქმებ შენ წინააღმდეგ წერილებს“...

ძველი მოუსვენარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საექიმო ექიმები

**(ოზურგეთიდან)**

ავთანდილ მოინახულა
ჩვენი ქალაქი სვიანი,
(ქუჩები მტვერით ავსვსე
და მუდამ ტალახიანი)



საავადმყოფოს მიადგა
აშლილი ნერვებიანი;
იქ ინახულა უნდომი
მწუხარე, შავი დღიანი.

ავთანდილს დახვდა იქ ვანო
ექიმი ენა-ფხიანი
და შეუტია ავთანდილს
დღე დაუბნელა მზიანი:

„ჰაი, შენ ოხერტიალო,
რა გინდა „ბალნიცაშიო“?
მე შენ გასწავლი ჭკუასა,
გაგაფრენ მაღლა ცაშიო.

აქ თუ საკენკი რამ არის,
ცოტა ვართ ექიმებიო?
ავათმყოფს ჩვენც კი მოუვლით,
შენ რაღას ეჩხირებიო,

შეიქნა გაწამაწია,
ამბავი იყო საზარი.
ამ ორ ექიმის ჩხუბითა
გაერთო მთელი ბაზარი.

**ხათაბალელი.**



## „საპატივსაცემლოდ“



—ხად მიბრძანდებით, ბ.-ნო პეტრე ასე აღელვებული:

—მივბრძანდები კი არა, ლამის ლაფ ხიდავიხრჩო... აღმასკომში განცხადება მიმაქვს, რომ ჩემი ხახელწოდება მოეხსნას ამ ქუჩას.




### ხუმრობა

ტრამვაის ხაზზე რეფორმის გამტარებელმა კომისიამ ხელახლა შესცვალა ზოგიერთ ადგილებზე როსოდების გაჩერება და გადაიტანა ისევ ძველ ადგილზე.

### სიცივემ გადაარჩინა

გუშინ დილით ვიღაც უცნობი თავის დახრჩობას აპირებდა მტკვარში, მაგრამ როცა წყალი ცივი აღმოჩნდა, თავის დახრჩობა გადასდო ზაფხულამდი.

### „გემო“

რესტორან „გემო“-ში იყიდება შემწვარი გოჭის თავი; ფულიან მშიერს შეუძლია იყიდოს და სჭამოს .

— ქურდი მამა. გუშინ წინ, საღამოს, ნინია ხინკილაძემ გაქურდა თავისი შვილი. ზარალი გამოურკვეველია. კვლევა-ძიება სწარმოებს.

— **ქურდი შვილი.** ამავე დღეს, ბლინკაძის შესახვევი, № 5, აპიკო კაპეიკაძემ თავის მამას ამოართვა ჯიბიდან რამოდენიმე კაპეიკი ზარალი გამოურკვეველია კვლევა-ძიება სწარმოებს.

— **ქურდი ცოლი.** გუშინ, საღამოს, დრამის თეატრის შესავალში ივანე ბუიანოვს ამოართვეს „დეზერტირკაზე“ შესავლელი ბილეთი. მიღებულ ზომებით შეიპყრეს ქურდი, რომელიც აღმოჩნდა ამავე ბუანოვის ცოლი რიფსიმე ბუიანოვისა.

— **ქურდი ბებია.** ამავე დღეს, რიკრიკო რეკვავას მოპარეს ნახევარი გირვანქა ტიანუშკა. ეჭვით შეიპყრეს მისივე ბებია თებრონე, რომელსაც ერთი ტიანუშკა აღმოაჩნდა ხახაში.

— **ქურდი ბაბუა.** ამავე დღეს, პალიკო პავლოვს მოპარეს „შტუკობით“ ნაყიდი პაპიროსი. ბოროტმოქმედი ზენო პაილოვი (პავშის ბაბუაა) დანაშულში გამოტყდა.

—



სადგური კახეთის რკინის გზაზე.

# ქ აღს

„დურბინდს“. (შორაპანი) თქვენ გვწერთ, რომ:

**ზაკტპოს გამგემ—ვასომ თავისი ცოლის დღეობა ᲒᲐᲓᲐᲘᲮᲐᲓᲐ.**

თუ ვასომ **გადაიხადა**, ჩვენ რა გვაქვს საწინააღმდეგო; ხოლო თუ ზაკტპომ გადაიხადა, როგორც ეს ხშირად ხდება, მაშინ მზად არის ტარტაროზის რისხვა.

თქვენი „დურბინდი“ ალბად კარგად ვერ იხედება, თორემ სხვა რამეს უკეთესს დაინახავდით შორაპანში, ვიდრე „ნინოს დღეობას“.

**ბაჩი-კაკას.** (აქ) თქვენს წერილს „ზურგზე“ აწერია:

**„შენ იცი, ტარტაროზო, რაც მალე გაუშვებ ჟურნალში ამ მასალას. არ აგიცდეს და გოდორი არ ანახვო“.**

თქვენმა გაფრთხილებამ ნაყოფი ვერ გამოიღო.

**კაკან-კუკუს.** (გუბის თემი) თქვენი ექიმის შესახებ, გვწერთ, რომ,—იგი ზარმაცი ყოფილა: „**არასოდეს არ არის თავის პუნქტში, და დარბის სხვა სოფლებში, რათა ფული აიღოს**“.

ამ თქვენს სიტყვებში გაუგებრობა არის; თუ ექიმი „ვლადიმერი“ ზარმაცია, მაშ როგორ არის რომ შორეულ სოფლებში „**დარბის?**“!

მაგ დალოცვილს, როგორც სჩანს, კარგი მუხლები ჰქონებია,—და არ გაუჭირდება თქვენგან უფრო შორსაც წასვლა, თუ კი, რასაკვირველია, ამას თქვენ მიხვდებით.

**სერ-ნოლი შ.** (სუფსა) თქვენი:

## ᲚᲘᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲢᲐᲠᲢᲐᲠᲝᲖᲡ

არ დაიბეჭდება, რადგან „ღია“ გამოგიგზავნიათ, და, სულერთია, მაინც ყველას წაკითხული ექნება; რაღა საჭიროა კიდევ დაბეჭდვა.

**ბოჭო.** (მუხურა) გატეხილი თავები მორჩება, ხოლო დამტვრეულ ჭიქების და ბოთლების გამთელება კი ძნელია. კიდევ კარგი, რომ ადამიანს შუშის და თიხის თავი არა აქვს, თორემ თქვენში ისეთი მოჩხუბრები ყოფილან, რომ არც ერთს არ შერჩებოდა თავი. (თუმცაღა მასეთი თავი რაღა თავია! სჯობს, რომ სულაც არ იყოს).

**ცემპეთას.** (ოზურგეთი. სოფ. მოდი-ნახე) ვერ მოვალთ და ვერ ვნახავთ, რადგან:

**ქალი, კაცი სუყველა**
**შიგ ტალახში წვებოდა;**
**ფეხსზევითაც, იცოცხლე,**
**მუხლებამდი წვდებოდა.**

**ვი—კოს.** (ხაშური) თქვენ გვწერთ „**ივანეს გასაჭირს:**“

**ცოლმა ხაგშები წამართვა,**
**ღვდელს უნდა მოანათვლინოს.**
**მოგიკვდეს მაშინ ივანე**
**წვერებით თუ არ ათრიოს.**

თქვენგან გვესმის პირველად, რომ ქალს წვერები ჰქონდეს.

**ალ. ჩიხლაძეს:**

**„ბუმგალტერი ლუკავა**
**ტარტაროზში არ წავა“.**

**„მაუზერს“.** პრილასტის და პრილას შესახებ უკვე იყო „ტარტაროზში“ წერილი. წერილს არ აწერთ გვარს და სახელს; წერილი არ დაიბეჭდება, არც ფოსტაში გვინდოდა პასუხი მოგვეცა თქვენთვის, მაგრამ „მაუზერის“ შეგვეშინა.

მაგრამ გულს რომ არ დაგაკლესთ, თქვენს წერილიდან მოვიყვანთ ერთს ერთს საუკეთესო ადგილს:

**დრო იყო მჭონდა პრილასტის**
**შემოხავალი ნაკურთხი;**
**მომჭონდა ხავსე ხურჯინი,**
**გოჭი და ცხვარის დუმაცა.**
**ქალს უხაროდა, გასუქდა,**
**მთლად გაუსწორდა კისერი;**
**მეტისმეტის გოჭის ხორცით**
**ქალს გაუწითლდა ლოყები.**

ცხონებულ სოლომონ ზურგიელიძეს ბლომად დაუტოვებია მემკვიდრეები; ერთ-ერთი მათგანი თქვენც ყოფილხართ.

**ჩოჩორიშვილ ბენიას.** (ოზურგეთი, ბოხვაური) ჩვენ ვიცით,—თუ ვისი შვილია ჩოჩორი, ხოლო არ ვიცით,—ვინ არის ჩოჩორის შვილი.

**ვილაცას წითელმთიდან.** (ოზურგეთი, შემოქმედი) თქვენ გვწერთ, რომ: ალიამ

**ვერ მოჰკლა ჯიხვი, ვერც შველი,**
**ვერც ტყის ქათამი რქიანი.**

რქიანი ქათამი მხოლოდ ერთად ერთი იყო მთელ მსოფლიოში და ისიც ლევარსი როხროხაძემ მოჰკლა. ამის შემდეგ ჩვენ არ გაგვიკვირდება, რომ რქა თქვენც ამოგივიდეს.

**გამვლელს.** (ნატანები) მანდ ყოფილა ვიღაც

**სიმონი, კავშირის წევრი. რომელსაც წყლის კურთხევის დღეს**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქუთაისის მორწმუნენი

„ქუთაისის მთავარ-ანგელოზის ეკლესიას დიდი მრევლი ყავს. მრევლი შესდგება სამი პირისაგან, ესენი არიან:—სახელმწიფო ბანკის ადგილობრივი განყოფილების გამგე ივანე პურადაშვილი, ცნობილი ვექილი კალისტრატე ბუკთაძე და არა ნაკლებ ცნობილი ჟანდარმთა პოლკოვნიკი გამრეკლიძე. მათი მეთაურობით შეკეთდა ეკლესია.

ქიტა.



გამრეკლიძე რეკავს.
ვანო რას აკეთებს?
კალისტრატეს ლოცვა
ხიამოვნებს ღმერთებს.

ჟანდარმი და... ბანკი
ბანკსაც—ადვოკატი.
გგონიათ—არ შველის
მათ საბჭოთა ხატი?

ტყუილია. ლოცვა
იციან ორმაგი:
— მთავარ—ანგელოზი
და შემდეგ... ბანკი!

წყლიდან ჯვარი ამოუღია და უჩუქებია ხუთი მანეთი; ამავე დროს თოთხმეტ შაურს ვერ გაიმეტებს, რომ გაზეთი გამოიწეროს".

და ჩვენც ასე გვგონია, ამხ. გამვლელო, რომ: სიმონი სწორედ იმიტომ მოქცეულა ასე, რომ: იგი გაზეთს არ კითხულობს, თორემ გაზეთს, რომ კითხულობდეს არც ასე მოიქცეოდა.

### ქრისტეს ნათლია

სიმონი

და სიმონმა დაჩქარებით
იორდანეს ფეხი სტყორცნა,
ამოიღო ღმერთის ჯვარი
და დაუწყო ხარბად კოცნა.
თავბრუ დასხმულს სიხარულით
არ დასცალდა ერთი წუთი;
მოწიწებით სწრაფლ მიართვა
ღვდელს ქანქარი ბარე ხუთი.
ზერებისა ხორო გალობს:
„იყოს სიმონ ხანგრძლივ დღისა;
ათას ცხრაას ოცდაექვსში
ნათლიაა იგი ღვთისა".
დღეს სიმონი ღვთის მორწმუნე—
მორწმუნეა უმტკიცესი.
ნათლიაა და აქებენ
დიაკვნები და ხუცესი.

სიმონს მონათვლა ჰკლებია და ტარტაროზი მონათლავს მას ახლო ხანში; მაშინ ტარტაროზი მისი ნათლია იქნება.

„არ მოდვა"-ს. (სოფ. აბაშა) თქვენ გვწერთ, რომ:

„მღვდელი ფილიპე ძველებურად ისუქებს თავის ნიკოლოზის დროის მუცელს".

შე დალოცვილო, განა შესაძლებელია ნიკოლოზის დროინდელი მუცლის გამოცვლა?!

ვ. თემურიშვილს. (ხუნჯულაური). თქვენი სოფლის ამბავზე დაუწერია სწორედ რუსთველს:

იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა ხაბალნაროსა.

მღვდელი გყოლიათ. სანთელი მოუპარავს და წასულა. (ალბად ჯოჯოხეთში წასასვლელად გზის გასანათებლად უნდოდა) მის შემდეგ მოსულა

მოხუცი მღვდელი მელიტო...
მოვიდა, მაგრამ რას ნახავ:
ჩამომჭკნარ-ჩამომხმარია...
. . . . . . . . . .
მას გაუმართეს ნადიმი,
დაუკლეს ზორბა ცხვარია;
თანაც ხურჯინში ჩაუწყვეს
ბევრი ნასუქი ვარია.
მას შემდეგ ვატყობ სუქდება
ჩვენი გამხმარი მელიტო.
რასაც მუცელში ვერა ჰყრის
ის მიაქვს იმას ხელითო.

და ყველა ამის შემდეგ, რატომ გიკვირსთ, რომ გასუქდეს თქვენი მელიტო?! მაგნაირ საჭმელებით თვით ისინიც კი გასუქდებიან, ვინაც აჭმევს მელიტოს, მაგრამ რა იციან, თუ რა ხილია ხურმა.

ყველა მუშა-მოსამსახურემ და შეგნებულმა

მშრომელმა უნდა გამოიწეროს თავისი

გაზ. "მუშა"

რომელიც ღირს თვიურად თავისი
უფარო. ყოველკვირეული იუმო-
რისტული დამატებით.

ჟ უ რ ნ ა ლ

„ტარტაროზი"-თ

მხოლოდ თორმეტი შაური

გაზ. „მუშა" მთავარ კანტორას აქვს თა-
ვისი განყოფილებები საქართველოს ყველა
ქალაქებში, სადაც შეიძლება გაზეთის
გ ა მ ო წ ე რ ა



საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სტამბა კამოს ქ. 68.